

**S**tudent  
**J**ournal of  
**S**ocial **S**ciences

სტუდენტთა უერთალი  
სოციალურ მეცნიერებებში  
#14, ნოემბერი, 2020



სოციალური მუშაკების გამონვევები საქართველოში

ლელა ქოროღლიშვილი  
მარიამ ქარქაშაძე

სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამა  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: [leluka.koroghlishvili@gmail.com](mailto:leluka.koroghlishvili@gmail.com)  
[marikarkashadze@gmail.com](mailto:marikarkashadze@gmail.com)

## აბსტრაქტი

საქართველოში მომუშავე პრაქტიკოს სოციალურ მუშაკებს ბევრ სირთულესა და გამოწვევასთან უწევთ გამკლავება. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროფესია ჩვენს ქვეყანაში სულ რაღაც ორ ათწლეულს ითვლის, ამ კუთხით მრავალი პრობლემა იჩენს თავს. არსებობს რამდენიმე რელევანტური კვლევა, რომელიც სოციალური მუშაკების საქმიანობას სხვადასხვა ასპექტში განიხილავს. ამაში იგულისხმება ადამიანის უფლებებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევები. თუმცა, ამ ნაშრომში ახალი პერსპექტივიდან იქნება ნაჩვენები ის ფუნდამენტური საჭიროებები და ძირეული სისტემური პრობლემები, რომელსაც მათ პროფესიულ საქმიანობაში ვაწყდებით. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან დანახული პრობლემების ანალიზი. კვლევაში განხილულია როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო გამოცდილება. აქცენტი გაკეთებულია სოციალური მუშაკების სამუშაო გარემოსა და მათი საქმიანობის ეფექტიანობაზე.

მოცემული ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ კვლევას, კერძოდ: ა) სიღრმისეულ ინტერვიუს, რომელიც ჩატარდა საქართველოში სახელმწიფო და არასამთვრობო სექტორში მომუშავე სოციალურ მუშაკებზე; ბ) დოკუმენტების ანალიზი (მოხსენებები, ანგარიშები, სახელმწიფო დოკუმენტები და სხვა აქამდე ჩატარებული კვლევები).

კვლევამ გამოავლინა ის სისტემური ხარვეზები, რომლებსაც სოციალური მუშაკები ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებიან. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, COVID-19-ის პანდემიამ ეს პრობლემები მეტად გაამწვავა და გაართულა მათი სამუშაო პროცესი.

მოცემული კვლევა ხელს შეუწყობს არსებული რეალობის საფუძვლიანად გაანალიზებას და დაგვეხმარება გავიზროთ მათი პროფესიული საქმიანობის სირთულეები. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომელიც დაგვეხმარება აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების გზების დასახვაში, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობა.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მუშაკი, გამოწვევები, ხარვეზები, ეფექტური ფუნქციონირება, პრობლემათა ანალიზი, პრაქტიკული საქმიანობა.

## შესავალი

სოციალური მუშაობა არის ახალი, ინოვაციური, გამონვევებით აღსავსე პროფესია, რომელიც თავის თავში აერთიანებს მრავალ მნიშვნელოვან ღირებულებას. იგი ხელს უწყობს სოციალურ ცვლილებებს, ადამიანთა გაძლიერებას, გათავისუფლებას მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით. სოციალური სისტემური თეორიების გამოყენებით სოციალური მუშაკი ერევა ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობაში (მატბერაშვილი, 2011). საქართველოში სოციალური მუშაობის განვითარების ისტორია იწყება 1999 წლიდან, როდესაც შეიქმნა კანონი „ობოლ და მშობელთა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა შვილობილად აყვანის შესახებ“, სწორედ ამის შემდეგ მოხდა პირველად ამ პროფესიის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა და დადგინდა სოციალური სამუშაოს შინაარსი. უამრავი რეფორმის ფონზე საბოლოოდ 2018 წლის 13 ივნისს ამოქმედდა კანონი, რომლითაც განისაზღვრა სოციალური მუშაკის უფლება-მოვალეობები და ჩამოყალიბდა ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელშიც დეტალურად იყო განწერილი სოციალური მუშაკის ძირითადი საქმიანობა (კილაძე, 2018). მოგეხსენებათ, რომ ეს პროფესია საქართველოში სულ რაღაც ორ ათწლეულს ითვლის. შესაბამისად, პრობლემებისა და დაბრკოლებების რაოდენობა არც თუ ისე მცირეა. პირველ რიგში, აღნიშნული საკითხის აქტუალობის განმაპირობებელია სოციუმში ცნობიერების დაბალი დონე და ინფორმაციის ნაკლებობა, რაც პირდაპირ კავშირშია სოციალური მუშაობის ხარისხიანად და ნაყოფიერად ფუნქციონირებასთან. სოციალური მუშაკის როლი საზოგადოებისთვის არსებითად ღირებულია და მრავალი საკითხის განმსაზღვრელ ფაქტორსა და ადამიანების სხვადასხვა სტრუქტურებთან დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. სხვადასხვა ტიპის გამონვევების შესწავლა მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ ნათლად შევაფასოთ არსებული მდგომარეობა. კვლევის მიზნამდე მივდივართ საკითხის ფუნდამენტურად შესწავლით. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან დანახული პრობლემების (იგულისხმება რესურსების მოძიება, ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა და სხვა) ანალიზი. ეს კვლევა დაგვეხმარება საუბრისთვის გაავიზროთ არსებული მდგომარეობის სირთულე. ამასთანავე, ის სხვა მკვლევრებს მისცემს ახალი, ცვლილებებზე ორიენტირებული კვლევის დაგეგმვის ბიძგს. ეს კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებას და სოციალური მუშაკების დანახული თვალთ არსებული პრობლემების აღმოფხვრას, იქნება ნაყოფიერი და იმედის მომცემი.

## ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის განმარტებით, „სოციალური მუშაობა არის პროფესია, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდების, ჯგუფებისა და თემის სოციალური ფუნქციონირების ამაღლებას და მიზნად ისახავს ისეთი პირობების შექმნას, რომლებშიც შეეძლება პოტენციალის სრული რეალიზაცია“ (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2016). სოციალური მუშაკები მომსახურებობას უწევენ ყველას, დანყებულნი ჩვილი ბავშვიდან, დამთავრებული ხანდაზმულით. ადამიანებს ეხმარებიან საკუთარი შესაძლებლობებისა და პოტენციალის გაუმჯობესებაში,

აკავშირებენ მათთვის აუცილებელ რესურსებთან და ეხმარებიან ამ რესურსების გამოყენებაში (ნამიჭეიშვილი, 2010). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ სფეროში მრავალი დაბრკოლება იჩენს თავს და დოკუმენტების ანალიზის შედეგად, განსაკუთრებით გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი. განხილული საკითხებიდან და მიმოხილული ლიტერატურიდან გამომდინარე, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აუცილებელია მკვლევართა მხრიდან აქცენტირება გაკეთდეს საქართველოში მომუშავე სოციალური მუშაკების გამოწვევებზე. ვინაიდან, ჩვენს ქვეყანაში სოციალური მუშაობა „ახალბედა“ პროფესიად ითვლება, რომლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის კვლევის შედეგების თანახმად სოციალური მუშაკების რაოდენობა, როგორც თბილისში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან მცირეა. კერძოდ, ყველაზე მეტი პრაქტიკოსი გვხვდება ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის სფეროში (288), ხოლო ყველაზე ცოტა იძულებით გადაადგილებული პირების სფეროში (1) (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2011). რომელიც რა თქმა უნდა, პირდაპირ გავლენას ახდენს მოქალაქეების სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამას კი ადასტურებს არაერთი სტატისტიკური კვლევა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობის 11,9% იღებს სოციალურ შემწეობას (საქსტატი, 2019). ამასთან, იზრდება ძალადობრივი შემთხვევების რაოდენობა. ეს ფაქტები კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ინტერვენციები მოკლევადიანია და არ არის ეფექტიანი. ამის გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ მათ ერთდროულად ბევრ შემთხვევაზე უნევთ მუშაობა. საქართველოში 1 სოციალურ მუშაკზე 120-მდე საქმე მოდის. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, თუ სლოვენიაში 100 ათას მოსახლეზე 772 სოციალური მუშაკი მოდის, საქართველოში ამავე რაოდენობას მხოლოდ 7 სოციალური მუშაკი ემსახურება (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019).

ბუნებრივია, რომ სამუშაოს ხარისხიანად შესრულება ასეთ პირობებში საკმაოდ რთულია. ჩვენი მოსაზრებით, იმისათვის, რომ სახელმწიფოში ეფექტიანად ფუნქციონირებდეს სოციალური მუშაობა, აუცილებელია ბევრი პროფესიონალი კადრის არსებობა, რომლებიც მაქსიმალური კონცენტრაციითა და უფრო მეტი დროითი რესურსით განხორციელებენ პრაქტიკულ საქმიანობას. დღევანდელ ქართულ რეალობაში სოციალური მუშაობა გვევლინება, როგორც არა პერსპექტიული საქმიანობა, რომელიც არ ფასდება როგორც სახელმწიფოს, ასევე, ხალხის მხრიდანაც. ამის ერთერთ მთავარ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ დაბალი ანაზღაურება. კერძოდ, უფროსი პრაქტიკოსი სოციალური მუშაკის ანაზღაურება შეადგენს 1000 ლარს და ამ თანხის უმეტესი ნაწილი ხმარდება სოციალური მუშაკის ტრანსპორტირებას, ამას ემატება მათი არა ანაზღაურებადი ზეგანაკვეთური სამუშაო. გარდა ამისა, არანაკლებ ხაზგასასმელ საკითხს წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ნაკლებად ხელშეწყობა. ამას ადასტურებს ის სამუშაო სივრცე და შენობების ინფრასტრუქტურული გარემო, რომელშიც სოციალურ მუშაკებს უნევთ მუშაობა (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2017). ეს არამართო სოციალური

მუშაკებისთვისაა პრობლემატური საკითხი, არამედ მათი მომსახურების მიმღებთათვის, რომლებსაც ბევრი ბარიერის გადალახვა უწევთ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ხანდაზმულები არიან იმ მონაცვლადი ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებსაც ექმნებათ გადაადგილების პრობლემა. ამასთან, იმის გამო, რომ ერთ ოთახში რამდენიმე სოციალური მუშაკია, ხშირად ირღვევა მომსახურების მიმღებების კონფიდენციალურობა (ფეტვიაშვილი, 2018).

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გარდა, საყურადღებოა სოციალური მუშაობის ემოციური შრომის თავისებურებები. მაგალითად, პროფესიული საქმიანობის შესრულების პროცესში ემოციური ფაქტორები და შიდა ორგანიზაციული რეგულაციები, რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ პიროვნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (ბარნაბიშვილი, 2017). უდავოა ის ფაქტი, რომ სოციალური მუშაობა გადანვის რისკ ჯგუფში მყოფი პროფესიაა. კვლევის თანახმად, პროფესიული გადანვის მაღლი პროცენტული მაჩვენებელი გამოვლინდა სწორედ ამ სფეროში. განსაკუთრებით კი, ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებით მომუშავე პრაქტიკოსებში. სამუშაო გარემო ამ საკითხზე დიდ გავლენას ახდენს და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ის მჭიდრო კავშირშია პროფესიული გადანვის გამომწვევ ფაქტორებთან (ხუჭუა, 2017). საერთაშორისო გამოცდილებაც ადასტურებს ამ ფაქტს. თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ დიდი ბრიტანეთი, სადაც კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ 40% უკმაყოფილოა თავიანთი სამუშაო პირობებით და მათი უმრავლესობა გეგმავს, რომ სამსახური მიატოვოს რამდენიმე თვეში (Manthorpe, 2018). დღესდღეობით, სოციალური მუშაკებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ეფექტიანი სუპერვიზიის არ არსებობა. კერძოდ, კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის დეტალი, რომ ხშირად მათ არ აქვთ ნვდომი დაესწრონ სხვადასხვა სემინარებს, ვორქშოპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და პრაქტიკული საქმიანობის გაუმჯობესებას (ხვედელიძე, 2018). საქართველოს სოციალური მუშაობის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა პროფესიონალების გაფიცვა გახლდათ. ისინი ითხოვდნენ არსებული მძიმე რეალობის შეცვლას. მათი მოთხოვნების აღსრულება ხელს შეუწყობდა ისეთი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც კომფორტული და მოსახერხებელი იქნებოდა პროფესიული საქმიანობის ნაყოფიერად განსახორციელებლად (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2019). კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გამოიკვეთა სოციალური მუშაკის როლი, განსაკუთრებით მონაცვლად ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობის თვალსაზრისით და სახელმწიფომ უფრო მეტად დაინახა სოციალური მუშაკის საჭიროება სისტემაში (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, 2020).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა ახალგაზრდა დარგია, იგი არაერთი წარმატებული რეფორმის ნაწილია. დღესდღეობით, ერთერთ მთავარ გამოწვევად რჩება საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და მათი ინფორმირება. აუცილებელია მოსახლეობამ იცოდეს, თუ ვინ არიან სოციალური მუშაკები და რა საქმიანობას ახორციელებენ ისინი.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეებმა უნდა გაითავისონ, რომ სოციალური მუშაკები მუშაობენ და ხშირ შემთხვევაში, იბრძვიან სწორედ მათი კეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისთვის.

### **მეთოდოლოგია**

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, დოკუმენტების ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში მომუშავე 6 სოციალურ მუშაკთან. კვლევა ჩატარდა მიზნობრივი შერჩევის მეთოდით. რესპოდენტები წარმოადგენდნენ სხვადასხვა სფეროს: ბავშვთა კეთილდღეობა, არასრულწლოვანთა დანაშაულის რეფერირების მიმართულება, ლგბტქ თემის საკითხები. მათი უმეტესობა დასაქმებულია არასამთავრობო სექტორში. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან დანახული პრობლემების (რესურსების მოძიება, ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, სახელმწიფოს არაეფექტური პოლიტიკა და სხვა) ანალიზი. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- 1) ვიკვლიოთ საქართველოში მომუშავე სოციალური მუშაკების პროფესიული საქმიანობის სირთულეები. ასევე, თუ რა დაბრკოლებებს აწყდებიან ისინი რესურსების მოძიებისა და გამოყენების ეტაპებზე, რაც მათი პრაქტიკის განმსაზღვრელია;
- 2) სოციალური მუშაკების თვალთახედვიდან დავადგინოთ, თუ რამდენადა არის საზოგადოება ნდობით განმსჭვალული მათი პროფესიის მიმართ. ამასთანავე, არის თუ არა ეს დამაბრკოლებელი ფაქტორი სამუშაოს შესრულების პროცესში;
- 3) შევისწავლოთ, თუ რა გავლენა მოახდინა კოვიდ-19-ის პანდემიამ სოციალურ მუშაკებზე და მათ ყოველდღიურობაზე;
- 4) დავადგინოთ, თუ რაში ხედავენ გამოსავალს პროფესიონალი პრაქტიკოსები აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად;

პანდემიისგან გამონვეული რეგულაციებიდან გამომდინარე ინტერვიუ ჩატარდა ონლაინ რეჟიმში. იმისათვის, რომ არსებული შეზღუდვებისგან გამონვეული ზარალი მაქსიმალურად შეგვემცირებინა, სატელეფონო კომუნიკაციის მაგივრად, გამოვიყენეთ ზუმის პლატფორმა, სადაც სიღრმისეული ინტერვიუს ძირითადი მოთხოვნები მაქსიმალურად შესრულდა. ამის შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები, რის საფუძველზეც მოხდა მონაცემების კოდირება/დამუშავება.

### **შედეგების ანალიზი**

ჩვენს მიერ გამოკითხულ რესპოდენტებთან ინტერვიუს დროს, გამოვლინდა გარკვეულ პრობლემათა ტენდენციები და აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა სფეროში მომუშავე პრაქტიკოსების პრობლემები ერთმანეთს დიდ წილად ემთხვევა. ბუნებრივია, ეს დაბრკოლებები მათი საქმიანობის შემათავრებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. სირთულეები და გამონვევები მრავალმხრივია და შეგვიძლია სხვადასხვა კატეგორიებად დავყოთ. პრაქტიკოსი სოციალური მუშაკების გამოცდილების

შედეგად ირკვევა, რომ მთავარი გამოწვევა, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორისთვის არის დამსაქმებლების მხრიდან სოციალური მუშაკების ფუნქციის არასწორად აღქმა. პრაქტიკოსებს ხშირად უწევთ ისეთი საქმიანობის შესრულება, რაც მათ კომპეტენციას აღემატება. აღინიშნა, რომ არ არის უწყებათაშორის კოორდინაცია და კომუნიკაცია; მაგალითად, როდესაც ბენეფიციართან მუშაობს 3 სხვადასხვა უწყება, ისინი შეთანხმებულად არ მოქმედებენ, ამიტომ „ბენეფიციარისთვის მაინც არაფერი იცვლება, რადგან შედეგზე ვერ გავდივართ“. რესპონდენტები ასევე აქცენტირებას აკეთებდნენ პროფესიის ემოციურ და ფიზიკურ სიმძიმეზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ანაზღაურება გაიზარდა, ის მაინც არ არის რელევანტური და შესაფერისი მათი შრომისა. ემოციური გადაწვის მხრივ, კოვიდ-19-მა უფრო გაამწვავა აღნიშნული ფაქტორი, რადგან მომსახურების მიმღებების მხრიდან გაიზარდა მიმართვიანობის რაოდენობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრანსპორტირების პრობლემა ორივე სექტორში მომუშავე პრაქტიკოსებს არ აწუხებთ. სამთავრობო სექტორში ეს უფრო ხშირად ვლინდება და მათ საკუთარი ხარჯებით უწევთ ბენეფიციართან ვიზიტზე გასვლა. პანდემიამ ეს ყოველივე უფრო გაამძაფრა, ამასთან, კომუნიკაცია ბენეფიციარებთან ხორციელდება დისტანციურად. ძირითადად, მათ სატელეფონო კომუნიკაცია აქვთ. ოჯახში ვიზიტები კი ხდება გადაუდებელი და აუცილებელი შემთხვევების დროს საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით. პრაქტიკოსები აღნიშნავენ, რომ არსებულ გამოწვევებს სხვადასხვა ორგანიზაციები განსხვავებულად უმკლავდებიან. მათ მიერ ხაზგასმული საკითხები მჭიდრო კავშირშია ჩვენს განხილულ ლიტერატურასთან, რაც ადასტურებს კვლევათა რელევანტურობას. სოციალური მუშაკების მხრიდან ინტერვიუს დროს, ასევე, აღინიშნა ისიც, რომ საზოგადოებაში ხდება მათი ფუნქცია-მოვალეობების არასწორად აღქმა და დაკნინება. ამ ყველაფერს ხელს უწყობს სახელმწიფოს მხრიდან გატარებული უშედეგო პოლიტიკა და მედიის მხრიდან არასწორი ინფორმაციის გაშუქება (განსაკუთრებით განვლილ წლებში). ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ საჭირო სერვისებზე ხელმისაწვდომობა არ გვხვდება ყველა სფეროში. წინა წლებთან შედარებით მომსახურებები გაიზარდა, მაგრამ ამ მხრივ, როგორც სოციალური მუშაკები ამბობდნენ, „განებიერებულები არ არიან“. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ბავშვთა კეთილდღეობისა და ოჯახის გაძლიერების მიმართულებით ქვეყანაში ბევრი სერვისი არსებობს, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ლგბტქ თემსა და მათზე ნივთიერებებზე დამოკიდებულთა სფეროზე. ჩვენს მიერ მიმოხილული ლიტერატურითაც დასტურდება, რომ ეს კვლავ რჩება საყურადღებო საკითხად. გამოიკვეთა ისიც, რომ სერვისები და მათი კომპონენტები არ არის მოქნილი და ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული. ხშირია, როდესაც მომსახურების მიმღებები სახელმწიფო დახმარებებზე ხდებიან დამოკიდებულნი და შესაბამისად, ვერ ხდება კომპლექსური პრობლემების მოგვარება. სოციალური მუშაკები საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებიდან გვთავაზობენ გარკვეულ ხედვას არსებული რეალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი აღნიშნავდა, რომ უმთავრესია ამ პროფესიის პოპულარიზაცია, რადგან საზოგადოებაში ცნობიერების დონის ამაღლება გამოიწვევს სახელმწიფოს მეტად დაინტერესებას და შესაბამისად, ეს იქნება ბიძგი პრობლემების აღმოფხვრისა. ამასთანავე, აუცილებელია გაიზარდოს სოციალურ მუშაკთა

რაოდენობა პროფესიონალი კადრების ხარჯზე, რაც გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მოხდა პროფესიისთვის მანდატის მინიჭება, სახელმწიფომ კარგად უნდა გაითავისოს სოციალური მუშაკის როლი სისტემაში, პრაქტიკის დონეზე. შესაძლოა ტარდებოდეს გარკვეული ღონისძიებები, თუმცა ისინი გახლავთ დროში განვლილი და ნაკლებ შედეგიანი. წერტილოვანი ჩარევებით შეუძლებელია სისტემური ცვლილებების განხორციელება. სახელმწიფომ უნდა შექმნას ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სერვისები (ჰოლისტური მიდგომის გათვალისწინებით) და უნდა გაზარდოს მათი რაოდენობა. არსებულ ლიტერატურაში, ნაკლებად იყო გამოკვეთილი მედიის როლი სოციალურ მუშაობასთან მიმართებაში, თუმცა კვლევის შედეგებში ეს ფაქტორი ნათლად იკვეთება და როგორც ერთერთმა რესპონდენტმა ახსენა, მედიაში დაიწყო ისეთი ვიდეო-რგოლების გაშუქება, რომლებიც სოციალური მუშაობის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას. სწორედ პოზიტიურად გაშუქება შეუწყობს ხელს პროფესიული ღირებულებების გავრცელებას საზოგადოებაში და არა ის ნეგატიური ანტიპიარის კამპანია, რომელიც წარსულში ხშირად იქცეოდა მოსახლეობის ყურადღებას. თუ მედიას არ შესწევს იმის ძალა, რომ სოციალური მუშაობა გააშუქოს სამართლიანად, დადებით კონტექსტში, უმჯობესია, რომ საერთოდ არ გაშუქდეს მსგავსი სიუჟეტები. ვინაიდან, არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ შესაძლოა ქვეყანაში გამოიწვიოს პროფესიის დაკნინება და სტიგმატიზირება (Mason, 2018). საქართველოს მაგალითზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო პერიოდში სატელევიზიო არხები ხშირად ინვესტონ სოციალურ მუშაკებს, რათა მიეცეთ შესაძლებლობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და საკუთარ პროფესიულ პრაქტიკაზე მნიშვნელოვანი აქცენტებით საუბრისა. ეს კი სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან, ჩვენს ქვეყანაში არსებულმა სოციალურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ „მოითხოვა“ სოციალური მუშაობის ინსტიტუტის გაძლიერება.

### დასკვნა

საქართველოში მომუშავე სოციალური მუშაკების გამონვევების შესწავლისას გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რომელთა მოგვარებაც სფეროსთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. არსებობს ძირეული საჭიროებები, როგორც სახელმწიფო ისე არასამთავრობო სექტორში. კვლევის მთავარი ღირსება გახლავთ ის, რომ სოციალური მუშაკების პერსპექტივიდან იქნა გაანალიზებული არსებული რეალობა. კვლევის შედეგებმა გაამართლა ჩვენს მიერ დასმული ამოცანები. ვინაიდან, გამოიკვეთა ის პრობლემები, რომელთაც პრაქტიკოსები ყოველდღიურ საქმიანობაში აწყდებიან. ესენია: რესურსების სიმცირე, საქმიანობის ადეკვატური გარემოს არ არსებობა, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ზეგანაკვეთური სამუშაო, უწყებათა არაკოორდინირებული მუშაობა და მათ შორის კომუნიკაციის ნაკლებობა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებთან მიმართებაში. მაგალითად ის, რომ სახელმწიფო სექტორში მომუშავე სოციალურ მუშაკებს აქვთ მეტი უფლებამოსილება, რაც განაპირობებს მათ სერიოზულ დატვირთვას და შესაბამისად, პროფესიული გადარწმუნების მაჩვენებელი ამ სექტორში უფრო იჩენს თავს. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებას არ აქვს ნდობა და დადებითი დამოკიდებულება სოციალური მუშაკების მიმართ. ამას ხელს უწყობს მოსახლეობის დიდ ნაწილში სტერეოტიპებისა და



სტიგმების არსებობა. ბუნებრივია, რომ ეს ფაქტორი შესაძლებელია გახდეს პრაქტიკული საქმიანობისთვის შემათფრხებელი. სხვადასხვა რელევანტურ კვლევებში, სადაც განხილულია სოციალური მუშაობა, როგორც გადანვის რისკ-ჯგუფში მყოფი პროფესია, ხაზგასმულია, რომ სოციალური მუშაკების სამუშაო გარემო მეტად სტრესული ფორმითაა წარმოდგენილი. მდგომარეობას ამწვავეს ისიც, რომ თავს იჩენს რესურსების სიმწირე და ინფორმირებულობის დაბალი დონე როგორც მოსახლეობაში, ისე დამქირავებლებში. ერთ-ერთ დოკუმენტში კი ვხვდებით საქართველოში მომუშავე სოციალური მუშაკების პრაქტიკული საქმიანობის ამგვარ შეფასებას: „ადამიანებს სურთ სასიკეთო ცვლილებები, მათ სჭირდებათ ამ ცვლილებისათვის დარაზმვა, კოორდინირება“ (მატბერაშვილი, 2011). ეს იმას ნიშნავს, რომ გარდა თეორიული აღიარებისა და მიღწევებისა (იგულისხმება საქართველოს კანონი სოციალური მუშაობის შესახებ და სოციალური მუშაობის პრაქტიკის სტანდარტები), პრაქტიკოსებს ესაჭიროებათ ხელშეწყობა ქვეყანაში ფუნქციონირებადი ყველა სახემწიფო სტრუქტურის მხრიდან. ჩვენთვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა სოციალური მუშაკის, როგორც ქვეყანაში არსებული „მზრუნველი ხელის“ გამოკვეთა. ამ პროფესიის ღირებულებები დაფუძნებულია სოლიდარობის იდეაზე და ყოველი პრობლემა, რაც პრაქტიკის განხორციელების პროცესში იჩენს თავს, ერთმანეთთან მჭირდოდა დაკავშირებული. მაგალითად: „ვაპურებთ მშიერს, არა იმიტომ, რომ ჩვენი პური არ მოიპაროს - არამედ იმიტომ, რომ ერთმანეთზე ზრუნვა, ერთმანეთის განვითარება უკეთესი საზოგადოების შექმნას ემსახურება“ (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019).

## რეკომენდაციები

ძირითადი რეკომენდაციები უკავშირდება ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- პროფესიის პოპულარიზაცია
- სამუშაო პირობების გაუმჯობესება (უმეტესად ეხება სახელმწიფო სექტორს)
- სერვისების გამრავალფეროვნება
- ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება
- მედიის მხრიდან საზოგადოებაში სწორი ინფორმაციის გავრცელება
- უწყებათაშორის კომუნიკაციის გაუმჯობესება/დახვეწა

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ხელს შეუწყობს მომდევნო კვლევების განხორციელებას და იმ საკითხების საფუძვლიანად შესწავლას, რომლებიც ხაზგასმით გამოიკვეთა აღნიშნულში. მაგალითად, მედიის როლის საფუძვლიანად შესწავლა სოციალურ მუშაობაში, მრავალფეროვანი სერვისების დეფიციტის მიზეზთა კვლევა და სხვა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Manthorpe, J. (2018). *Working conditions and stress in UK social workers*. მოპოვებულია <https://www.nationalelfservice.net/social-care/social-care-workforce/working-conditions-and-stress-in-uk-social-workers/?fbclid=IwAR0q0G5VBTzS8ZRPVgbLQ151RjnLRBJIEehG1ztYsE6jQtZ4ZuSnGjrgM>
2. Mattaini, M., Lowery, C., Meyer, C. (2002). *Foundations of Social Work Practice*. NASW press
3. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. (2017). *სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკთა შრომითი პირობები და გამოწვევები*. მოპოვებულია <https://emc.org.ge/uploads/products/pdf/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98 %E18.pdf>
4. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.(2019). *შრომის უფლება*. მოპოვებულია <https://emc.org.ge/ka/products/emc-sotsialur-mushakebs-mkhardacheras-utskhadebs?fbclid=IwAR21r9G6ME1MtpbBXZpxiEfuNsq74GeAWmntnpbsOiNdf5GLVw3xVCSHgwU>
5. ბარნაბიშვილი, ნ. (2017). *ემოციური შრომის თავისებურებები საქართველოში*. მოპოვებულია <https://opscience.ge/bitstream/1/1284/1/MA%20Thesis.Barnabishvili%20%20evroin.pdf>
6. ნამიჭეიშვილი, ს. (2010). *სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები*.
7. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2011). *სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი საქართველო*. მოპოვებულია <https://www.osgf.ge/files/news/2012/29-02-12/SW Situational Analysis Report Georgia GASW GEO 29 11 2011 F.pdf>
8. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2016). *ეთიკის კოდექსი*.
9. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. (2020). *სოციალური მუშაკების როლი Covid-19-ის პანდემიის პერიოდში*. მოპოვებულია <http://www.gasw.org/index.php/gasw-newsgeo/news-4/680-covid>
10. საქსტატი. (2019). *სოციალური უზრუნველყოფა*. მოპოვებულია <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/55/sotsialuri-uzrunvelqofa>
11. კილაძე, ს. & ფერცხალაშვილი, ა. (2018). *სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო*. მოპოვებულია <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/14999.pdf>
12. სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ასოციაციის ევროპის წარმომადგენლობა. (2010). *სტანდარტები სოციალურ მუშაობაში-ადამიანის უფლებათა დამცველ პროფესიაში*
13. ფეტვიანი, ს. (2018). *ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მომუშავე სოციალური მუშაკების მიერ დანახულ სფეროში არსებული პრობლემები და გამოწვევები*. მოპოვებულია <https://opscience.ge/bitstream/1/1486/1/MA-Thesis.-Petviashvili%20%20socmuS.pdf>
14. შატერაშვილი, ნ. (2011). *საერთაშორისო სოციალური სამუშაო*. მოპოვებულია [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty\\_social\\_political/ISW%20MA.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/ISW%20MA.pdf)
15. ხვედელიძე, რ. (2018). *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის პროგრამების(ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) კურსდამთავრებულთა ძირითადი გამოწვევები*,

სოციალური მომსახურების სააგენტოში. მოპოვებულია <https://openscience.ge/bitstream/1/1374/1/MA-Thesis.-Khvedelidze%20%20%20socmuS.pdf>

16. ხუჭუა, ნ. (2017). სოციალურ მუშაკებში პროფესიული გადაწყვეტილების თავისებურებები ქართულ კონტექსტში. მოპოვებულია

<https://openscience.ge/bitstream/1/1054/1/Ma%20Thesis.Khutchua%20%20socmuS.pdf>

17. Mason, S. (2018). *A warped view of social work in the media is unfair – and dangerous*. მოპოვებულია <https://www.theguardian.com/social-care-network/social-life-blog/2018/may/16/media-social-work-press-state-children?fbclid=IwAR0lk6 FFgibtDKXbh1B1o-IM-P BeeUXWc4FMXHdzMOMbhfyDdP7gyzplM>

18. შატერაშვილი, ნ. (2011). სოციალური მუშაკები ადამიანების სოციალური უფლებების დასაცავად. მოპოვებულია

<https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/dd6/deb/5cddd6deb96b3489559293.pdf>

19. სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2019). სოციალური მუშაკები- სხვების დაუცველი დამცველები. მოპოვებულია <https://socialjustice.org.ge/ka/media/sotsialuri-mushakebi-skhvebis-dautsveli-damtsvelebi>